ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2017 წლის 5 მაისი

ქ. ზუგდიდი

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აპრილის №21 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ს/ნ 010250050.35.105.016309, 12/04/2017) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 151-ე, 51^3, 55-ე, 53^3, 152-ე, 152^2, 148-ე, 146^1, 55^2, 119^1, 150-ე, 150^1, 159-ე, 159^1, 55^3, 107^4, 127^1-ის მე-5 ნაწილის, 114^2-ის მე-6 ნაწილის, 125-ის მე-8 ნაწილის, 135-ე, 179^2 და 153^4 მუხლების, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების დანართი №1-ის მე-2 პუნქტის ,,ჯ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს.";

ბ) დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ნანავა**

,,დანართი №1

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90 ტელ. : (0415)25 00 76, 591 84 22 44

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი №

_____ _____201 წ. _____

ოქმის შედგენის ადგილი

1.მე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის

სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების

_____

თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი

_____

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე, 51^3, 55-ე, 53^3, 152-ე,

152^2, 148-ე, 146^1, 55^2, 119^1, 150-ე, 150^1, 159-ე, 159^1, 55^3, 107^4, 127^1-ის მე-5 ნაწილის,

114^2-ის მე-6 ნაწილის, 125-ის მე-8 ნაწილის, 135-ე, 179^2, 153^4 _____ მუხლების

შესაბამისად, შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ _____

_____

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

_____

სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება

_____

სამართალდამრღვევი სუბიექტის იურიდიული მისამართი

_____

სამართალდარღვევის შინაარსი

_____

_____

_____

_____

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

_____

(მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი)

_____

აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევის

ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

2. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის

უფლებები და მოვალეობები.

მე,_____

სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი

გავეცანი საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა

და მოვალეობებს (ადმინისტაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს,

მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას

ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე

წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების

შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე),

  რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

_____

3. ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ოქმი შეადგინა: _____

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა

ოქმს გავეცანი: _____

სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა

მოწმეები: (დასწრების შემთხვევაში):

_____ _____ _____

სახელი, გვარი მისამართი, პირადობის № ხელმოწერა

_____ _____ _____

სახელი, გვარი მისამართი პირადობის № ხელმოწერა

_____ _____ _____

სახელი, გვარი მისამართი, პირადობის № ხელმოწერა

დაზარალებული (არსებობის შემთხვევაში):

_____ _____ _____

სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის №	ხელმოწერა
_____	_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის №	ხელმოწერა
_____	_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის №	ხელმოწერა

4. ოქმის ასლი ჩავიბარე:

_____	_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის №	ხელმოწერა

შენიშვნა: ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა, ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტება და ოქმის შინაარსთან დაკავშირებით შენიშვნები არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. სამართალდამრღვევს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივი.“.